community

The New Apostolic Church around the world

04/2017/GE

2017 წლის ორმოცდაათობა ვენაში (ავსტრია)

რედაქციისგან: ვიუწყოთ მისი დიდება

ღვთისმსახურება ორმოცდაათობაზე: სულიწმიდის მადლის ზემოქმედების შედეგები

ეკლესიის მოძღვრება: განსვენებულთა არსი

New Apostolic Church
International

ვიუწყოთ მისი დიდება

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

წლის დევიზი „დიდება ღმერთს, ჩვენს მამას“ მთელი წლის მანძილზე გაგვდეს - დიახ, მთელ ჩვენს ცხოვრებას გასდევს. ეს არის ამოცანა და ამავე დროს ქრისტიანის მოთხოვნილებაც, რომ ისევ და ისევ შეიმეცნოს ღვთიური შემოქმედების სიდიადე, მადლობა გადაუხადოს ღმერთს ამისათვის და ადიდოს იგი.

მას შემდეგ, რაც ყოველივე ყოფიერი ისე შევიმეცნეთ, როგორც შემოქმედება, მოდით, ამ შემეცნების საფუძველზე მადლობა გადავუხადოთ ღმერთს, შემოქმედს, და ვადიდოთ იგი. ამის შემდეგ მესამე სურვილიც გაჩნდება: ვიუწყოთ მისი დიდება.

და როგორ გავაკეთოთ ეს ჩვენს ცხოვრებაში?

ისე, რომ ღვთის შვილებივით მოვიქცეთ. მოდით, გავასაჯაროვოთ ის, რაც შევიმეცნეთ და რისთვისაც მადლიერნი ვართ.

- ჩვენ მივუტევებთ მოყვასს - რამეთუ ღმერთი მოგვიტევებს.
- ხსნას ვითხოვთ - ყველა ადამიანისათვის, იმათთვისაც, ვინც გული გვატკინა.
- სრული სანდოობით ვართ აღვსილნი - ვიცით რა, რომ ღმერთი არ დააბრკოლებს ჩვენთვის მისი სასუფევლის მოცემას.
- ჩვენ ვვითარდებით - ღმერთმა ჩვენში სიცოცხლე ჩადო, რომელიც უნდა გაიფურჩქნოს.
- ჩვენ ჩვენი წვლილი შეგვაქვს ერთობაში - ვიცით რა, რომ ყველა ადამიანს ერთი ღმერთი და ერთი მამა ჰყავს.
- ჩვენ ფოკუსირებულნი ვართ საუკუნო სიცოცხლეზე, ღვთიურ მემკვიდრეობაზე. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენს ცხოვრებაში.

თუ ყველა ამ აზრით იმოქმედებს, მაშინ კურთხევა აღმოცენდება - თავად ჩვენთვის და მოყვასისთვისაც.

გულითადი მოკითხვებით თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

სულიწმიდის მადლის ზემოქმედების შედეგები

2000 ღვთისმსახურების მონაწილე ვენის საკონცერტო დარბაზში (ავსტრია) და მრავალი ათასი მსმენელი ადგილობრივი თემებიდან მსოფლიოს მასშტაბით: ღვთისმსახურება ყველა კონტინენტზე გადაიცემოდა

ფოტო: თოთვერ რიუტენი

საქმეები 2, 4

„ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ.“

საყვარელო და-ძმანო, სამებისადმი მიძღვნილ ამ ღვთისმსახურებაზე, ჩვეულებისამებრ, ბიბლიურ ადგილებს წავიკითხავთ. დღეს ეს იქნება ამონარიდები პავლე მოციქულის ეპისტოლედან რომაელთა მიმართ. რომ. 8, 9-11; 14-17:

„თქვენ კი ცხოვრობთ არა ხორციელად, არამედ სულიერად, თუკი ღვთის სული ცხოვრობს თქვენში. ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის. და თუ ქრისტე თქვენშია, სხეული მკვდარია ცოდვისათვის, ხოლო სული ცოცხალია სიმართლისათვის. ხოლო თუ თქვენში იმყოფება მისი სული, ვინც მკვდრეთით აღადგინა იესო, მაშინ ის, ვინც ქრისტე იესო აღადგინა მკვდრეთით, თქვენს მოკვდავ სხეულებსაც გააცოცხლებს თავისი სულით, რომელიც თქვენშია დამკვიდრებული. [...]

რადგან ისინი, ვინც ღვთის სულით წარიმართებიან, ღვთის შვილები არიან. ვინაიდან არ მიგიღიათ მონობის სული, რათა კვლავ შიშით იყოთ, არამედ მიღებული გაქვთ შვილობის სული, რომლითაც ვღაღადებთ: 'აბბა, მამაო!' სწორედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილები ვართ. ხოლო თუ შვილები - მემკვიდრენიც, ღვთის მემკვიდრენი, და ქრისტეს თანამემკვიდრენი, თუ სინამდვილეში მასთან ერთად ვიტანჯეით, რათა მასთან ერთად ვიდიდოთ კიდეც."

საყვარელო და-ძმანო, დღეს იმ დღესასწაულს ვზეიმობთ, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. სამების (ორმოცდაათობის) დღესასწაული ქრისტეს ეკლესიის დაბადების საზეიმო დღეა. ვიცით, რომ ორმოცდაათობაზე მოციქულები და ყველა მოწაფე, რომლებიც იქ იყვნენ შეკრებილნი, სულიწმიდით აღივსნენ. ეს იყო ქრისტეს მიერ მათთვის მიცემული აღთქმის აღსრულება. სულიწმიდა გადმოვიდა მათზე და ყველა მათგანმა უცხო ენებზე დაიწყო ლაპარაკი, რათა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოსული ი უ დ ე ვ ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს სახარება ეუწყებინათ.

> რწმენა წინაპირობაა იმისა, რომ სულიწმიდის მადლის საქმიანობა გაიფურჩქნოს.

იმ ადამიანებმა, რომლებიც შემდგომში მივიდნენ იესო ქრისტეს რწმენამდე, სულიწმიდის მადლი მოციქულთა ხელდასხმითა და ლოცვით მიიღეს. ბიბლია ცალკეულ შემთხვევებზე მოგვითხრობს, როცა სულიწმიდის მადლთან ერთად სხვა ნიჭების გადაცემაც ხდებოდა. ზოგიერთებმა ენებზე ლაპარაკის ნიჭი მიიღეს, ზოგიერთებმა - სნეულთა განკურნების, სხვებმა კიდევ - წინასწარმეტყველების. ამით ღმერთს იმის ჩვენება უნდოდა, რომ მისი მოციქულები იესოს მიერ იყვნენ მივლინებულნი. ამ ნიშნებს მოციქულთა მივლინებისადმი რწმენის განმტკიცებისათვის უნდა შეეწყო ხელი. მაგრამ პავლე მოციქულმა ბრძნულად ახსნა, რომ ხსნისათვის მათ არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდათ. ხსნისათვის გადამწყვეტი წყლისა და სულისგან ხელახლა დაბადებაა, ასევე იესო ქრისტეში ახალი ქმნილების განვითარება, ნიჭები გადამწყვეტი არ არის.

როგორც ახალსამოციქულო ქრისტიანებს, ჩვენ გვწამს, რომ სულიწმიდის მადლი მოციქულის ხელდასხმითა და ლოცვით მივიღეთ. ეს ჩვენი რწმენის მტკიცე შემადგენელი ნაწილია და ასევეა იგი ფორმულირებული ჩვენს მერვე სარწმუნოებრივ დებულებაში.

სულიწმიდით აღბეჭდვის მეშვეობით სულიწმიდის მადლი მივიღეთ და ამდენად, ღვთისშვილობაც. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ადამიანები ვერ გახდებიან ღვთის შვილები. ღმერთი ყველა ადამიანის მამაა, ვინაიდან მან შექმნა ისინი. ნებისმიერ ქრისტიანს აქვს უფლება შეიცნოს ღმერთში ზეციერი მამა, რომელსაც უყვარს იგი, ზრუნავს მასზე და ხსნას ანიჭებს მას. მაშ, შორს ის აზრები ჩვენგან, რომ მხოლოდ ჩვენ ვართ ღვთის შვილები, ხოლო ყველა დანარჩენი - არა. ცნება „ღვთისშვილობა" განსაკუთრებულ რამეს ეყრდნობა: განსაკუთრებულ ურთიერთობას ღმერთთან და განსაკუთრებულ მოწოდებას. სულიწმიდის მადლთან ერთად იმის წინაპირობაც შეგვექმნა, რომ გავხდეთ პირმშოები და როგორც ასეთები ღვთის სასუფეველში შევიდეთ, რათა იქ ღმერთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდრენი გავხდეთ. აი, ეს მნიშვნელობა აქვს ღვთისშვილობას. ჩვენ მოწოდებულნი ვართ, გავხდეთ პირმშონი და შევიდეთ ღვთის სასუფეველში როგორც პირმშონი. ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ იქ, სადაც არიან პირველები, არიან მათი მომდევნონიც. ღმერთს სურს, რომ ყველა ადამიანს უბოძოს თანაზიარება მასთან ახალ შემოქმედებაში. უბრალოდ კიდევ ერთხელ მინდოდა ეს განმემარტა.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ სულიწმიდით ვართ აღბეჭდილნი, მტკიცედ გვწამს, რომ მივიღეთ სულიწმიდის მადლი. საყვარელო და-ძმანო, ჩემი მოვალეობიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიმუშაო რწმენის განმტკიცებაზე, იმაზე, რომ შემდგომშიც მტკიცედ გვწამდეს სულიწმიდის მადლის მიღებისა სულიწმიდით აღბეჭდვის დროს, ვინაიდან სწორედ ეს რწმენა ქმნის იმის წინაპირობას, რომ სულიწმიდის მადლმა მისი ზემოქმედების გაშლა შეძლოს. მაგრამ თუ მოხდება ისე, რომ ეს რწმენა მოიკლებს, სულიწმიდის მადლი სრულად მოქმედებას ვეღარ შეძლებს. ამიტომაც არის ასე მნიშვნელოვანი სულიწმიდით ჩვენი აღბეჭდვისადმი მტკიცე რწმენა.

როგორ მოქმედებს სულიწმიდის მადლი? პავლე წერდა, რომ იქ, სადაც სულიწმიდის რწმენა

თანაქადაგებისათვის გამოძახებულ იქნენ სამხ. მოციქული გერმანიიდან ბერნდ კობერშტაინი (მარცხ.) და სამხ. მოციქული სამხრ. აფრიკიდან ჯონ. ლ. კრილი (მარჯვ.)

არსებობს, ადამიანი სულიწმიდას მისი წარმართვის საშუალებას აძლევს; მას კი ჩვენს გულში თავისი სათქმელი აქვს. ღვთის სული გვეუბნება: „შენ ხარ ღვთის შვილი, გყავს მამა, რომელსაც უყვარხარ, გყავს მამა, რომელიც, როგორც პირმშოს, თავის სასუფეველში შეგიყვანს“. ის, ვინც ღვთის სულით ხელმძღვანელობს, პავლესავით ამბობს: „აბბა, საყვარელო მამაო“. ეს კი იმის რწმენას ნიშნავს, რომ მამა ზრუნავს მასზე ისევე, როგორც თავის ძეზე ზრუნავდა, როცა ეს უკანასკნელი დედამიწაზე იმყოფებოდა. მამამ იმაზე იზრუნა, რომ იესო ქრისტეს მისი ამოცანის შესრულება და მერე მასთან თანაზიარებაში უკან დაბრუნება შეძლებოდა.

ჩვენც ვამბობთ: „აბბა, საყვარელო მამაო': შენ, ყოვლადძლიერო, ჩემი მამა ხარ. შენ იზრუნებ იმაზე, რომ ყველაფერი კარგად იყოს და მე შენთან საუკუნო თანაზიარებაში შემოსვლა შევძლო.“ სულიწმიდა ეუბნება ჩვენს სულს: „დამშვიდდი, შენი მამა იზრუნებს შენზე.“ ეს უშფოთველობას, გონივრულობას გვანიჭებს, რის საყრდენსაც ჩვენი რწმენა წარმოადგენს.

პავლე ამბობდა: „გაგვლანძღავენ - ვლოცავთ, გვდევნიან - ვითმენთ“ (1. კორ. 4, 12). ეს უშფოთველობა, რომელიც ასე გვაკლია დღევანდელ დღეს, სულიწმიდის მადლის ზემოქმედების შედეგია. მამა აქ არის, ის ზრუნავს შენზე. ეს სულიწმიდის ზემოქმედების პირველი შედეგია. ვინც ფლობს ამ მადლს, სწამს მისი და მას საკუთარ თავზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას აძლევს, ის ღვთის დიდების შემეცნებას ეზიარება. სულიწმიდის მადლის მეშვეობით მას ღვთის დიდება გაეხსნება. ვისაც წარსულში, აწმყოსა და მომავალში ღვთის დიდების შემეცნება შეუძლია, ის სხვა ენაზე ლაპარაკობს. მას შეუძლია გააცნობიეროს, თუ რა გაუკეთა ღმერთმა წარსულში. ის აღარ არის ფოკუსირებული ყოველივე იმაზე, რაც ადამიანებმა მას წარსულში გაუკეთეს. არც მის მიერ გაკეთებულ საქმეებზე ლაპარაკობს ბევრს. ღვთის დიდების შემეცნებიდან გამომდინარე იცის: „ღმერთმა დიდი რამ გამიკეთა, მაშ, მოდით, გავიხაროთ და ვიმხიარულოთ.“ ის მადლიერებით არის სავსე, ვინაიდან შეუძლია ჩასწვდეს იმას, თუ რა გაუკეთა ღმერთმა მას წარსულში. იქ, სადაც სულიწმიდის მადლს გაფურჩქვნა შეუძლია, მადლიერებაც ჩნდება.

> მადლიერება წარსულის, აწმყოში სიფხიზლისა და მომავალში სიხარულის გამო.

მას, ვის შინაგან სამყაროშიც სულიწმიდის მადლს გაფურჩქვნა შეუძლია, აწმყოში არსებული საფრთხეების ამოცნობაც შეუძლია. მან ზუსტად იცის: ყველაზე დიდი საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ განსაცდელის მსგავსი მოვლენები ღმერთისგან გვაშორებს. ეს არის პრიორიტეტული. ამიტომაც

სულ სხვანაირად აფასებს იგი აწმყოს მის საფრთხეებთან ერთად.

მისი საზრუნავი ის არის, რომ დარჩეს ღმერთთან თანაზიარებაში და კიდევ უფრო ღრმა და შინაგანი გახადოს იგი. ამ დროს ჩნდება სიფხიზლის გრძნობა, სულიწმიდის მადლის ზემოქმედების შედეგი.

ვინც სულით ხელმძღვანელობს და მომავალში ღვთის დიდებაზე ფიქრობს, ის სიხარულით ივსება. მან იცის, რაც ელოდება, იცის, რაც მოხდება და ახარებს ეს. ეს სულ სხვა ენაა, ვიდრე ის, რაც ირგვლივ გვესმის.

მადლიერება წარსულის გამო, აწმყოში სიფხიზლის გამო და სიხარულის გამო მომავალში - აბა, სხვაგან სად უნდა ვპოვოთ?

პავლემ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ სულიწმიდის მადლთან ერთად ღვთიური სიყვარულიც ჩაიღვარა ჩვენს გულებში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნარი იმისა, გვიყვარდეს ისე, როგორც უყვარდა იესო ქრისტეს. რა თქმა უნდა, ეს ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული, რამეთუ ჩვენ ხომ თავისუფალი ადამიანები ვართ. თუ გინდა, შეძლებ. ეს არის გზავნილი. სულიწმიდის მადლთან ერთად იმის უნარიც მიიღე, რომ გიყვარდეს იესო ქრისტესავით. ახლა კი ეს შენს ნებაზეა დამოკიდებული.

ეს სიყვარული თავის შედეგებს იძლევა. და კიდევ, ის ჩვენს იმ მცდელობასაც განაპირობებს, რომ სხვასაც ვაუწყოთ ხსნა. და ვინაიდან ჩვენ გვიყვარს ეს სხვა, გვინდა, რომ, შეძლებისდაგვარად, ისიც მალე შევიდეს ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში. ჩვენ გვინდა, რომ მასაც გავუზიაროთ ის დიდი განძი, რომელსაც ვფლობთ, ეს არის იესო ქრისტე. ამისათვის კი, მოდით, მის ენაზე ვილაპარაკოთ, როგორც მოწაფეები ამეტყველდნენ თავის დროზე ორმოცდაათობაზე. მათ მიერ მიღებული ნიჭით ღმერთმა იმის შესაძლებლობა მისცა, რომ სხვა ენებზეც ეუწყათ სახარება, იერუსალიმში მოსულთა ენებზე.

ძვირფასო და-ძმანო, მინდა, რომ აქცენტი შემდეგზე გავაკეთო: მოდით, სახარება მოყვასს ისე გავაცნოთ, რომ მის ენაზე ვილაპარაკოთ და არა ჩვენს ენაზე. ეს არ ეხება არც ინგლისურს, არც ფრანგულს, არც ესპანურს, არც რუსულს ან გერმანულს. ჩვენ დიდი მაგალითი გვყავს და ეს ღვთის ძეა. მას ადამიანებისათვის სასიხარულო ცნობის უწყება სურდა. ეს მას ზეციდან არ გაუკეთებია. ის განკაცდა და ადამიანთა ბედი გაიზიარა, მათსავით იცხოვრა, მათსავით დაიტანჯა, მათთან ერთად იყოფდა ყველაფერს და ძალიან ახლოს იყო ადამიანებთან. მას მათ ენაზე ლაპარაკი შეეძლო, ვინაიდან ის მათნაირი გახდა, კერძოდ, ჭეშმარიტი კაცი.

ენის შესასწავლად ჯერ მისი მოსმენაა აუცილებელი. ადამიანებმა დღეს ეს სრულიად დაივიწყეს. ყველას ლაპარაკი უნდა. საქმე კი უფრო შორს მიდის. მოდით, მოყვასის მარტო მოსმენით ნუ დავკმაყოფილდებით, არამედ თანავუგრძნოთ კიდეც მას, გულწრფელად გავიზიაროთ მისი შიში, ტკივილი და სიხარული, რათა მიხვდეს, რომ დაინტერესებულნი ვართ მისით. ასეთი თანაგრძნობა გულს გაუხსნის მას და ჩვენი გზავნილის, სახარების მიმართ ინტერესს გაუღვიძებს: „ღმერთს უყვარხარ, მას შენი გამოსყიდვა სურს. ჩვენ იესო ქრისტე ვიპოვეთ, წამოდი ჩვენთან ერთად, ის შენთვისაც მოვიდა!“ თანაგრძნობის ეს ფაზა უსაზღვროდ მნიშვნელოვანია. მოდით, მოყვასის ენაზე ვილაპარკოთ, რამეთუ გვინდა, რომ მასთან ერთად გავიზიაროთ ხსნა.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტი: ჩვენი სურვილია, რომ მომავალმა თაობამ, ჩვენმა ახალგაზრდებმაც გამოსცადონ ხსნა. ჩვენი ბავშვების სულიწმიდით აღბეჭდვა ძირითადად მაშინ ხდება, როცა ისინი ჯერ კიდევ ძალიან პატარები არიან. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სულიწმიდით აღბეჭდვის დროს ბავშვი სულიწმიდის მადლს იღებს. მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ეს საკმარისი არ არის. სულიწმიდის მადლმა ამოქმედება რომ შეძლოს, ამისათვის ბავშვში, ახალგაზრდაში, რწმენა უნდა გაიზარდოს. მას უნდა სწამდეს, რომ სულიწმიდის მადლი მიიღო და, რომ ეს უნიკალური, საოცარი რამ არის. პრობლემაც ამაშია.

ჩვენი ბავშვების, ახალგაზრდების ნაწილი ფიქრობს: „დიახ, ჩვენ ახალსამოციქულო ეკლესიას ვეკუთვნით.“ თუმცა სულიწმიდის მადლისადმი რწმენა ყოველთვის არა აქვთ და ჩვენი ახალგაზრდების ერთი ნაწილი კონფრონტაციის შემდეგ უბრალოდ აღარ მოდის ეკლესიაში, ვინაიდან ამ მადლის ღირებულებას ვერ აცნობიერებს. საყვარელო და-ძმანო, აქ უკვე ჩვენ ვართ საჭირო!

წმიდა ზიარების საზეიმოდ ფეშხუმებს თავს სამხ. მოციქული მარკუს ფელბაუმი ხდის

როგორ ავუხსნათ მათ მათსავე ენაზე ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ეფექტურია სულიწმიდის მადლი, რომელიც მათ მიიღეს?

არანაირ სარგებელს არ მოგვიტანს ის, თუ თანამედროვეობისა და ამ სამყაროს მუქ ფერებში დახატვას და მათთვის იმის ახსნას მოვინდომებდით, თუ რა ცუდია ამქვეყნად ცხოვრება - მაგრამ თუ ახალსამოციქულო ქრისტიანად დარჩები, თავს დააღწევ ყოველივე ამას! აბსოლუტურად არაფრის მომტანი არ იქნება მათთვის აპოკალიფსური მომავლის დახატვა და იმის თქმა, რომ: „თუ ერთგული არ დარჩები, საშინელება დაგატყდება თავს.“ მათთვის არც ქცევის კოდექსის მიცემა არ არის არაფრის მომტანი: „უნდა გააკეთო ეს, ამის უფლება კი არ გაქვს ...“ ეს ნამდვილად არ არის მათი ენა. დარწმუნებული არ ვარ, რომ ოდესმე ეს ვინმეს ენა ყოფილიყო, მაგრამ ეს სხვა საკითხია. ჩვენ თანამედროვეობით ვართ დაკავებულნი. სამხ. მოციქულებთან და მოციქულებთან ერთად ბევრს ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ მივაწოდოთ სახარება ჩვენს ბავშვებს მათ ენაზე. როგორ ავუხსნათ მათ, რომ სულიწმიდის მადლი მნიშვნელოვანია? დავუბრუნდები იმას, რაც უკვე მანამდე ითქვა. მათ ვეტყვით, რომ სულიწმიდის მადლის ზემოქმედების წყალობით უშფოთველად შეუძლიათ იყვნენ, მათი შინაგანი კაცი კი გაძლიერდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ ამის გამო უკეთესი ცხოვრება ექნებათ და ყველა უბედურებისა და ბოროტებისგან დაცული იქნებიან. მათაც ჩვენსავით ბევრი რამის გადატანა მოუწევთ. მაგრამ მათი ცხოვრება სულ სხვანაირი იქნება, ვინაიდან სარწმუნოებრივი გონიერება ექნებათ და ძლიერები იქნებიან შინაგან კაცში. ეს მოტივაციაა ჩვენი ახალგაზრდებისთვის. ჩვენ რომ მათთვის იმის ახსნა შევძლოთ, რომ სულიწმიდის მადლთან ერთად მათ იმის შესაძლებლობა და უნარი მიიღეს, რომ უყვარდეთ ყველა, უპირობოდ, მიუკერძოებლად, ოღონდ სურვილი უნდა ჰქონდეთ ამისა და მაშინ შეძლებენ კიდეც ამას, ეს უკვე მოტივაცია იქნებოდა ახალგაზრდებისთვის და ამაში მტკიცედ ვარ დარწმუნებული. მოტივაცია იქნება მათთვის, თუ შევძლებდით აგვეხსნა, რომ „სულიწმიდის მადლის მეშვეობით შენ იესო ქრისტესთან ერთად მოღვაწეობის შესაძლებლობა გექნება და შენი წვლილის შეტანას შეძლებ იმაში, რომ ყველა ადამიანმა ჰპოვოს ხსნა იესო ქრისტეში. შენ საჭირო ხარ და მოწოდებული ხარ, ითანამშრომლო ადამიანთა ხსნის საქმეში, ბევრისათვის კურთხევის მოტანაც შეგიძლია.“

მაშ, ვასწავლოთ სახარება ახალგაზრდებს, ბავშვებს. მაგრამ ქადაგება და ლაქლაქი საკმარისი არ არის, ამით ვერავის დაარწმუნებ. ამის მაგალითი უნდა მივცეთ! აღიქვამენ ჩვენი შვილები - აქ ჩემს თავსაც ვგულისხმობ -, რომ ეს უშფოთველობა და გონივრულობა რწმენიდან შევიძინეთ? შეუძლიათ ახალგაზრდებს იმის აღქმა, რომ ნამდვილად ყველა ჩვენთაგანს შეუძლია სიყვარული, თუკი ამის სურვილი გვექნება? შეუძლიათ შეიგრძნონ, რომ სხვებისათვის ხსნის შეთავაზების შინაგანი მოთხოვნილება და იმის სურვილიც გვაქვს, რომ ყველა ადამიანმა ჰპოვოს იესო ქრისტე? ეს არის ჩვენი ამოცანა მთელ მსოფლიოში.

ცხადია, ნებისმიერი ადამიანი, იქნება ეს ზრდასრული, ბავშვი თუ ახალგაზრდა, თავისუფალი ადამიანია, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს, იესოსთან იქნება თუ მის წინააღმდეგ. ჩვენ ვერავის ვაიძულებთ და არც სურვილი გვაქვს ამისა, ეს არ იქნებოდა ღვთის ნების შესატყვისი. მაგრამ არც საქმის გაიოლება გვინდა და იმის თქმა, რომ დრო და გარემოებანი ასეთია და ვერაფერს

ვიზამთ! გარემოებანი და ეპოქალური მოვლენები საბოდიშოდ არ გამოგვადგება და არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს ჩვენს პასუხისმგებლობას.

ამიტომაც არის ასე მნიშვნელოვანი, რომ, პირველ რიგში, საკუთარი სულიწმიდით აღბეჭდვა განვამტკიცოთ და ვიმუშაოთ მასზე. დიახ, ჩვენ სულიწმიდის მადლი გვაქვს. ამ მადლიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა: „აბბა, საყვარელო მამაო, მე შენ გენდობი!“ გამლანძღავენ - დავლოცავ, მდევნიან - მოვითმენ. დიახ, მე უფრო მეტად მინდა მიყვარდეს და მე ეს შემიძლია. დიახ, მომავლით მინდა გავიხარო, დიახ, ღვთის ხელში იარაღი მინდა ვიყო. და როცა დაინახავენ, რომ ჩვენ თავად ვიქცევით ასე, მაშინ ჩვენი წვლილის შეტანას შევძლებთ იმაში, რომ განმტკიცდეს ბავშვებისა და ახალგაზრდების რწმენა მათი სულიწმიდით აღბეჭდვის მიმართ. მაშინ ისინი კიდევ უფრო მეტად გამოსცდიან სულიწმიდის მადლის ზემოქმედების შედეგებს.

სამხ. მოციქულთა თანაქადაგებების მერე პირველმოციქულმა თქვა: „ახლა კი, მოდით, წმიდა ზიარების ზეიმზე გადავიდეთ, მოვემზადოთ და საკუთრ თავს ჩავუღრმავდეთ. აქ ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ ვინმეს სინდისის ქენჯნა გავუღვიძოთ. მე მხოლოდ ამ კითხვას დავსვამ: „როგორ მოექეცი სულიწმიდის მადლს, შეძლო ამ მადლმა შენში სრული გაფურჩქვნა?“ - საყვარელო ღმერთო, ხომ შეიძლებოდა უკეთესად გამომსვლოდა ყველაფერი, მოიღე მოწყალება და ახლიდან დაწყების საშუალება მომეცი!

დარწმუნებული ვარ, ვინც ასე წარსდგება უფლის წინაშე, მიიღებს ამ წყალობას და ახლიდან დაწყებას შეძლებს. წმიდა ზიარება მადლიერების ზეიმიც არის. მაშ, მოდით, ეს მადლიერება დღეს სულიწმიდა-ღმერთის მიმართ გამოვხატოთ! სულიწმიდის წარმოდგენა ცოტა არ იყოს და რთულია. მამის წარმოდგენა კი უფრო ადვილია. შემოქმედი სრულიად კონკრეტულია და მამის ფიგურის წარმოდგენა იოლია. ღვთის ძე სრული კონკრეტულობით იესო ქრისტეშია. კარგად შეგვიძლია ამის წარმოსახვა. მაგრამ რა უნდა წარმოვიდგინოთ სულიწმიდაში? ჩვენ ხომ ყოველთვის სურათხატები გვჭირდება?!

ღმერთი მის საქმეებში შეიცნობა. რა თქმა უნდა, სულიწმიდის საქმეების შეცნობაც სრულიად შესაძლებელია. სულიწმიდა-ღმერთის ზემოქმედების გარეშე მხოლოდ მოხსენებებს მოვისმენდით და არა ღვთის სიტყვას. ეს კი კონკრეტული იქნებოდა ჩვენთვის. მაგრამ რანი ვიქნებოდით, თუ მხოლოდ მოხსენებებსა და ქადაგებებს მოვისმენდით და არა ღვთის სიტყვას? სულიწმიდის ზემოქმედების გარეშე, მართალია, ვიზეიმებდით წმიდა ზიარებას, მაგრამ ეს არ იქნებოდა ქრისტეს ხორცი და სისხლი, ეს მხოლოდ მოსაგონარი ზეიმი იქნებოდა. მაგრამ სულიწმიდა-ღმერთის ზემოქმედების გამო შეგვიძლია, რომ წმიდა ზიარება ვიზეიმოთ და იესო ქრისტესთან თანაზიარება გვქონდეს. გაგვაჩნია რა სულიწმიდის მადლი, სულიწმიდას ჩვენში ახალი ქმნილების ჩამოყალიბება შეუძლია. მას იმ მდგომარეობამდე შეუძლია მიგვიყვანოს, რომ ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში შევიდეთ. და თუ მისი ხატების წარმოდგენას ვერ შევძლებთ, ჩვენ მაინც მთელი გულით მადლიერნი ვართ ღვთის სულისა მისი საქმეების გამო.

მაშ, ერთად მივმართოთ ღმერთს ამ სურვილით: უფალო, უფრო მეტი მინდა გავაკეთო იმისათვის, რომ ჩემმა მოყვასმაც შეიყვაროს იესო ქრისტე. უფალო, დამეხმარე, ჩემი წვლილი შევიტანო იმაში, რომ მომავალმა თაობამ სულიწმიდის ზემოქმედება გააცნობიეროს და შეიგრძნოს. არანაირი სტრატეგია არ გვაქვს არც მე და არც სამხ. მოციქულებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გავაკეთოთ მომავალისათვის, რათა ყველა კონფირმირებულმა ახალგაზრდამ ერთგულება შეინარჩუნოს. ადამიანური კუთხით, ამის დაგეგმვა არც შეიძლება. ეს მხოლოდ ღმერთს შეუძლია, მას შეუძლია განაპირობოს ის, რომ ადამიანები რწმენამდე მივიდნენ და ერთგულნი დარჩნენ.

თუ ყველა ჩვენთაგანს ამ დიდ წრეში ასეთი სურვილი ექნება: „საყვარელო ღმერთო, დაგვეხმარე, გვინდა, შეძლებისდაგვარად, ყველაფერი გავაკეთოთ, რათა მომავალმა თაობამაც შეინარჩუნოს ის, რაც მიეცი მათ“, ღმერთი გვერდს ვერ აუვლის ჩვენს ამ სურვილს და უყურადღებოდ არ დატოვებს მას! ღმერთი დაგვეხმარება! მოდით, ამის ნება-სურვილი გამოვიჩინოთ!

ძირითადი აზრები

ჩვენ გვწამს ჩვენი ღვთისშვილობის. სულიწმიდის მადლის არსებობა ჩვენში შეიცნობა

- ღვთისადმი ჩვენს ნდობაში,
- ჩვენს სულიერ წონასწორობაში,
- ჩვენს ენასა და
- თანაგრძნობაში.

ჭეშმარიტი ნუგეში: ნიშნების ნაცვლად რწმენა

განსვენებულთა არსი ახალსამოციქულო რწმენის საუნჯეს განეკუთვნება. პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერს ეჭვიც არ ეპარება ამაში. თუმცა ის მოუწოდებს, რომ მას ფრთხილად და გონივრულად მივუდგეთ..

ფოტო: ოლივერ როუბენი

„„ახლახანს ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როცა წავიკითხე, რომ სულ უფრო მეტი და მეტი ქრისტიანი აღიარებს იესო ქრისტეს რწმენას, მაგრამ არ სწამს საიქიოსი. სხვები კი ამბობენ, რომ საიდუმლოთა მიღება ხორციელი სხეულის არსებობაზეა დამოკიდებული; მათი შეხედულებისამებრ, სხეულს განშორებულ სულს მხოლოდ მკვდართა აღდგომის მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს. როცა უკანასკნელი სამსჯავრო დადგება, მკვდრეთით აღმდგარი მიცვალებულები ღვთის სასუფეველში შესვლას შეძლებენ, რამდენადაც ღმერთმა უკვე მიიღო ისინი.

ჩვენ გვწამს, რომ ადამიანი ხორციელი სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს სიცოცხლეს: მისი სული და სამშვინველი არ კვდებიან, ამდენად, მისი პიროვნება სიცოცხლეს აგრძელებს. იმქვეყნიურ სამყაროში ადამიანს ღმერთის სასარგებლო ან საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება შეუძლია. სწორედ გადაწყვეტილების მიღების ეს თავისუფლება უხსნის მას მისასვლელს საიდუმლოებთან - დაე, თუნდაც აღარ ჰქონდეს მას ხორციელი სხეული.

მარტო ღმერთი იცნობს იმ სულებს, რომლებსაც აქვთ რწმენა, რათა ხსნისათვის საჭირო საიდუმლონი მიიღონ. ეს სულები ინათლებიან და აღიბეჭდებიან სულიწმიდით ღვთისმსახურებაზე განსვენებულთათვის. ჩვენი ლოცვებით ვერ ვიხსნით მათ - ეს მხოლოდ იესოს ძალუძს -, მაგრამ ჩვენს სიყვარულს დავუმტკიცებთ. ჩვენი ლოცვები ღმერთთან შუამდგომლობაა, იგი იწვევს ამ სულებს.

მოდით, გარდაცვლილთა არსთან დაკავშირებით სიფრთხილე და გონივრულობა გამოვიჩინოთ. ერთმორწმუნე და-ძმანი ზოგჯერ ისეთ სიზმრებსა და ხილვებზე გვიყვებიან, რომლებიც საიქიოს ეხება. ამგვარი გამოცდილება მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული პიროვნების განცდებს უკავშირდება და მათი განზოგადება არ შეიძლება. მაშასადამე, მათი ხელშეუხებელი ჭეშმარიტების დონეზე აყვანა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს. ამასთან დაკავშირებით ერთი მაგალითი: ცოტა ხნის წინ სხვადასხვა მხარის წარმომადგენელმა ორმა პიროვნებამ მითხრა, რომ ერთი და იგივე გარდაცვლილი ნაცნობი „იხილეს“. პირველ მათგანს გარდაცვლილმა თითქოსდა ხსნით გამოწვეული სიხარული გაუზიარა; მეორეს კი რამოდენიმე კვირის შემდეგ უთხრა, რომ დახმარება სჭირდებოდა ... რომელს უნდა დავუჯეროთ?

მესმის, რომ ამა თუ იმ პიროვნებას გარდაცვლილი ახლობლის ბედი აწუხებს, მაგრამ, ჩემი აზრით, „ნიშნები“ ნუგეშის საუკეთესო წყარო არ არის. ჭეშმარიტი ნუგეში ღვთიური სიყვარულისადმი რწმენიდან და იმ ნდობიდან მოდის, რომელსაც ეს სიყვარული წარმოშობს. ჩვენი ამოცანაა, გავიზიაროთ განსაცდელში მყოფთა ტანჯვა, ვილოცოთ მათთან ერთად და რწმენა და ღვთისადმი ნდობა განვუმტკიცოთ მათ.“

განსვენებულთა არსი - საფუძვლები

განსვენებულებთან მიმართებაში ახალსამოციქულო რწმენა ყველა სხვა დანარჩენი ქრისტიანებისგან განსხვავდება. საიდან მოდის ეს? და როგორ არის ის დასაბუთებული?

„განსვენებულთა არსი“ ეხება ყველაფერს, რაც გარდაცვლილებს უკავშირდება. ამ სიტყვის ვიწრო გაგებით ჩვენს იმ პრაქტიკაზეა ლაპარაკი, რომ გარდაცვლილებს არა მხოლოდ ლოცვით ვუშუამდგომლოთ, არამედ მოციქულთა მეშვეობით მათ საიდუმლოებიც უნდა მიენიჭოთ. ამის ძირითად წინაპირობას, უპ. ყოვლისა, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის რწმენა წარმოადგენს. სულის უკვდავობა ჩვენი რწმენის ძირითად პრინციპებს განეკუთვნება.

გარდა ამისა, ამაში შედის აგრეთვე წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სულთა მდგომარეობა საიქიოში საფუძვლიანად შეიძლება შეიცვალოს და, რომ ხსნის მიღწევა ხორციელი სიკვდილის შემდეგაც შესაძლებელია. ეს რწმენა სახარების იმ ფორმულირებებიდან გამომდინარეობს, სადაც ნათქვამია, რომ ღმერთის ურთიერთობა ადამიანთან მის სიკვდილთან ერთად არ წყდება.

ამასთან დაკავშირებით კატეხიზმო აღნიშნავს: „ახალსამოციქულო ქრისტიანები ლოცვით შუამდგომლობენ განსვენებულებს: ისინი სთხოვენ ღმერთს, რომ დაეხმარონ იმ სულებს, რომლებიც დაუხსნელნი წავიდნენ საიქიოში“ (კატ. 9. 6. 1).

მოუნათლავი ბავშვის სიკვდილი

მკვდართა ნაცვლად ცოცხლებისათვის საიდუმლოების მინიჭების პრაქტიკა პირველად მოციქულმა ფრიდრიხ ვილჰელმ შვარტცმა გამოიყენა (1815-1895 წწ.). ამის საფუძველი კონკრეტული შემთხვევა გახდა, რომელიც იმჟამინდელ ამსტერდამის თემში მოხდა. 1872 წ. ერთი ბავშვი ან მოუნათლავი გარდაიცვალა, ან მკვდარი დაიბადა, და მის მშობლებს შვილის ხსნა ადარდებდათ. იყო მოსაზრებები იმის თაობაზე, შეიძლებოდა თუ არა მკვდარი ბავშვისათვის საიდუმლოების მინიჭება და თუ კი, მაშინ როგორ. მოციქული შვარტცი, რომელსაც ამ კითხვით მიმართეს, უკვე კარგა ხანი იყო, რაც 1 კორ. 15, 29-ზე მუშაობდა. ამ შემთხვევამ, როგორც მოგვიანებით ყვებოდნენ, ცხადად დაანახა მას 1. კორ-ის ამ საიდუმლო მუხლის მნიშვნელობა.

მას შემდეგ 1. კორ. 15, 29 მიღებულია როგორც გარდაცვლილებისათვის ნათლობისა და სულიწმიდით აღბეჭდვის მინიჭების ბიბლიური დასაბუთება. XIX საუკუნის 80-იან წლებში გარდაცვლილებს წმიდა ზიარებასაც ანიჭებდნენ.

იმას, თუ რომელი გარდაცვლილი უნდა მოენათლათ ან აღებეჭდათ სულიწმიდით, ხილვებისა და წინასწარმეტყველებითი ნიშნების მეშვეობით იტყობინებოდნენ. XX საუკუნის 20-იან წლებამდე მხოლოდ დასახელებული გარდაცვლილები ინათლებოდნენ და აღიბეჭდებოდნენ სულიწმიდით.

შემდგომში გაუქმდა ეს წესი, ვინაიდან არავინ იცოდა, თუ რომელ სულს მიანიჭებდა ღმერთი საიქიოში ნათლობასა და სულიწმიდით აღბეჭდვას.

თავდაპირველად ღვთისმსახურებანი განსვენებულთათვის შობის მეორე დღეს ტარდებოდა. 1954 წ. პირველმოციქულმა ბიშოფმა გასცა განკარგულება, რომ ზიარება განსვენებულთათვის ყოველ კვირა დღეს ყოფილიყო შესაძლებელი.

გარდა ამისა, 1954 წლიდან წელიწადში სამჯერ ტარდებაღვთისმსახურებანი,როცაგანსვენებულებს ნათლობისა და სულით აღბეჭდვის საიდუმლოები მიენიჭებათ.

მითითებანი წმიდა წერილში

ვინაიდან ჩვენი რწმენა და პრაქტიკა გარდაცვლილებთან მიმართებაში ყველა სხვა დანარჩენი ქრისტიანებისგან განსხვავდება,

არსებობს იმის აუცილებლობა, რომ მას ცოტა უფრო ჩავუღრმავდეთ.

მაშ, პირველ რიგში, ვიკითხოთ, თუ რა მითითებები არსებობს ახალ აღთქმაში გარდაცვლილებისათვის საიდუმლოთა მინიჭებასთან დაკავშირებით.

ერთის მხრივ, პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში კორინთოში არსებულ იმ წეს-ჩვეულებას გვამცნობს, რომლის მიხედვითაც ცოცხლები მკვდართათვის ინათლებოდნენ. პავლე ამ პრაქტიკაზე აღდგომის უარმყოფელებთან კამათის დროს საუბრობს. მაშასადამე, ის აქ გარდაცვლილთათვის საიდუმლოთა მინიჭების გამართლებაზე არ ლაპარაკობს. თუმცა, როგორც ჩანს, აქ საუბარია სრულიად მისაღებ და ამდენად, ნაკლებად საპრობლემო პრაქტიკაზე. პავლე წერს (1. კორ. 15, 29): „თორემ რას აკეთებენ მკვდართათვის მონათლულნი? თუ მკვდრები საერთოდ არ აღდგებიან, რატომ ინათლებიან მკვდართათვის?“

კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე, რომელიც შეიძლება, რომ დაახ. ჩვ. წ. აღ-ით 54 წელს დაწერილიყო, ამ წეს-ჩვეულების ყველაზე ადრეულ მოწმობას წარმოადგენს. მეორე ბიბლიური ადგილი პრინციპში მოგვიანებით არის ჩასმული, იგი პეტრე მოციქულის პირველ წერილში გვხვდება, რომელიც, როგორც ჩანს, დაახ. ჩვ. წ. აღ-ით 90 წელს შეადგინეს. თუმცა 1. პეტ. 3, 19-ში არ გვხვდება დასტური მკვდართათვის საიდუმლოთა მინიჭების შესახებ, არამედ მასში ჯვარცმის შემდეგ ქრისტეს „საპყრობილეში“ (მკვდართა საუფლოში) ჩასვლაზე მინიშნებაა მოცემული, როგორც ეს აპოსტოლიკუმშია ნათქვამი: „რომლითაც წავიდა და უქადაგა საპყრობილეში სულებსაც, ოდესღაც ურჩნი რომ იყვნენ, როდესაც ღვთის სულგრძელება კიდევ იცდიდა, ნოეს დღეებში, სანამ შენდებოდა კიდობანი, რომელშიც ცოტა, ესე იგი, რვა სული გადაურჩა წყალს [...]“. იმავე კონტექსტს ეყრდნობა 1. პეტ. 4, 6, სადაც ნათქვამია: „ეხარათ მკვდართაც“.

მრავალგვარი მოსაზრებების პროვოცირება გამოიწვია, უპ. ყოვლისა, კორინთელთა მიმართ პირველმა ეპისტოლემ. ბიბლიის ზოგიერთი განმმარტებელი თვლიდა, რომ მკვდართა ნათლობასთან მიმართებაში საუბარი იყო იმ პრაქტიკაზე, რომელიც ქრისტიანული თემების განაპირა მხარეებში ხორციელდებოდა. 1. კორ-თან დაკავშირებულ ახალ კომენტარში ეს საკითხი სხვაგვარად არის შეფასებული და ხდება იმის მტკიცება, „რომ მკვდართა ნათლობა კორინთოს თემებში (შეიძლება მის ფარგლებს გარეთ პავლეს მიმდევარ თემებშიც) ბუნებრივი პრაქტიკა იყო, რომელსაც, როგორც ასეთს, აღდგომის უარმყოფელთა ჯგუფიც მისდევდა.“

მოციქულთა შემდგომი პერიოდის ეკლესია უარყოფდა მკვდართა ნაცვლად ცოცხლებისათვის საიდუმლოთა მინიჭებას. 397 წელს მკვდართა ნათლობა კართაგენის საეკლესიო კრებაზე აიკრძალა.

აღდგენა და განვითარება

იმ დროს, როდესაც კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესია ორიენტირებული იყო ძველი ეკლესიისა და კათოლიკურ და მართლმადიდებლურ წეს-ჩვეულებაზე, რომელიც გარდაცვლილთათვის მხოლოდ შუამდგომლობითი ლოცვით შემოიფარგლებოდა, ახალი სამოციქულო მიმდინარეობის (იგი1863 წელს ჩამოყალიბდა) მოციქულებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს წინ. უპ. ყოვლისა, ისინი მიუბრუნდნენ ახალი აღთქმის დასახელებულ საწყისებს, რომლებიც, თუ ზემოთ ციტირებულ აზრებს გავიხსენებთ, აღდგენისა და განვითარებისკენ უბიძგებენ, რაც უკანასკნელი 140 წლის განმავლობაში მოხდა კიდეც.

გარდაცვლილთაარსისათვისმთავარიარწმენახსნის ღვთიური ნებისადმი, რომელიც უნივერსალურია და, რომელიც ერთანირად ეხება ცოცხლებსაც და მკვდრებსაც. ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო (ნაწილი 9. 6. 3) სრული სიცხადით ამბობს, რომ „იესო ქრისტე უფალია მკვდრებზე და ცოცხლებზე; მისი სახარება ორივეს ერთნაირად ეხება. ღმერთს სურს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს (1. ტიმ. 2, 4-6; იოან. 3, 16), რაც იმას ნიშნავს, რომ ხსნის ღვთიური ნება უნივერსალურია. ხსნის მინიჭება ქადაგების, ცოდვათა მიტევებისა და საიდუმლოთა მეშვეობით ხდება. ყოველივე ეს განსვენებულთათვისაც არის გამიზნული. მათთვისაც, როგორც ცოცხლებისათვის, ხსნის მისაღწევად იესო ქრისტეს რწმენაა აუცილებელი. გამოსყიდვა მხოლოდ და მხოლოდ იესო ქრისტეს მიერ ხდება.“

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/ შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

დაკარგული დრაქმა

(ლუკ. 15, 8-10)

მწიგნობრები უკმაყოფილონი იყვნენ იესოსი, ვინაიდან იგი მებაჟეებთან და სხვა ცოდვილებთან ერთად იყო. ჭამდა კიდეც მათთან ერთად, თუმცა იუდაური რჯულის მიხედვით ისინი უწმიდურები იყვნენ. მწიგნობართა საყვედურებს იესომ რამოდენიმე იგავით უპასუხა. ერთ-ერთი მათგანი დაკარგული დრაქმის იგავია.

„ერთ ქალს ათი დრაქმა ჰქონდა
და ერთი დაკარგა.
ამის გამო დამწუხრდა.
და რას იზამს ახლა?“
- მწიგნობრები
სულმოუთქმელად უსმენდნენ.
- იესომ გააგრძელა:
„განა არ აანთებს სანთელს
და არ გამოგვის სახლს და
გულმოდგინედ არ დაუწყებს
ძებნას, ვიდრე არ იპოვის?“ -
მსმენელებმა თავი დაუქნიეს.

ისინიც იგივეს გააკეთებდნენ. მაგრამ ისტორია გრძელდება: „როცა ამ ქალმა დაკარგული დრაქმა იპოვა, დაუძახა მეგობრებსა და მეზობლებს და უთხრა: 'ჩემთან ერთად იხარეთ, ვინაიდან ვიპოვე დაკარგული დრაქმაო.“
იესომ მწიგნობრებს უთხრა: „ასევე იქნება სიხარული ღვთის ანგელოზებთან ერთი მომნანიებელი ცოდვილის გამო.“

მონეტები პალესტინაში ქრისტეს დაბადებამდე მხოლოდ VIII საუკუნეში გაჩნდა. მათი ღირებულება მათ წონასა და მასალაზე იყო დამოკიდებული. მხოლოდ ქრისტეს დაბადებამდე VI საუკუნეში მოიჭრა მონეტები მყარად დადგენილი ღირებულებით. იესოს დროს ისრაელში სამი სხვადასხვა ვალუტით შეიძლებოდა გადახდა. ვინაიდან პალესტინა რომის იმპერიაში შედიოდა, იქ რომაული მონეტები იყო მიმოქცევაში, მაგ. დინარი. ეს კეისრის ფული იყო, რომელიც მონეტებზე იყო გამოსახული. იმის გამო, რომ პალესტინა სირიის პროვინციასაც ეკუთვნოდა, იქ ე. წ. პროვინციული ფულიც იყო ძალაში, როგორიც იყო დრაქმა და სტატერი. ამ ფულით იხდიდნენ ტაძრის გადასახადს. ერთადერთი იუდაური მონეტა, რომელიც ახალ აღთქმაშია ნახსენები, არის გროში, ფულის უმცირესი ერთეული..



წყარო: ჟურნალი ბავშვებისათვის, გამოცემა 07/2017 წ.; ილუსტრაცია: მარელა ფორტუნატო

იცოდით, რომ საკუთარი ეთიოპიური კალენდარი გვაქვს? ჩვენი წელი 13 თვისგან შედგება.

ზარონთან დირე-დავაში (ეთიოპია)



მე მქვია ზარონი, ვარ თერთმეტი წლის და ვცხოვრობ ქალაქ დირე-დავაში. ის დედაქალაქიდან დაახ. 500 კმ-ის მოშორებით მდებარეობს, ავტობუსით თითქმის ათი საათი სჭირდება.

ორივე ქალაქი დაახ. ერთ ხაზზეა განლაგებული, მაგრამ დირე -დავა პოლიტიკურ რუკაზე უფრო მარჯვნივ არის, ზღვის მიმართულებით, სომალის საზღვრის მახლობლად. ჩემს ოჯახთან ერთად ერთ პატარა ნაქირავებ სახლში ვცხოვრობ.

ეთიოპია ლესოთოსთან ერთად ყველაზე მაღლა მდებარე ქვეყანაა აფრიკაში. ქვეყნის ნახევარზე მეტი 1200 მეტრზე მაღლა მდებარეობს. იმ დროს, როდესაც ბარში ცხელა და გვალვაა, მთებში თოვლიც კი შეიძლება მოვიდეს. სიმიენის მთების ჩრდილოეთი მხარე ნაციონალურ პარკს წარმოადგენს. აქ შეიძლება ნახოთ, მაგ., ლეოპარდები, პავიანები და კოპლებიანი გიენები. ცხოველები ძალიან მიყვარს, მიყვარს ჩემი ქვეყანა და აქ მცხოვრები ადამიანები. ინფორმირებული რომ ვიყო, ყოველ დღე ახალ ამბებს ვუყურებ და გაზეთებს ვკითხულობ. კარგად ვიცი ეთიოპიის ისტორია და ძალიან მაინტერესებს, თუ რა გზით განვითარდება ჩემი ქვეყნა მომავალში.



ეს ფოტო ჩემს სკოლასთან არის გადაღებული. აქ ჩემს ყველა თანაკლასელს ვერ ხედავთ, ვინაიდან ჩემს კლასში 45 მოწაფეა. მეექვსე კლასში ვარ და სწავლა მიადვილდება. სკოლამდე სამ კილომეტრს ფეხით გავდივარ. ეთიოპიაში პრინციპში ბევრი მოწაფე გადის დიდ გზას სკოლამდე, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონში. ალბათ სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ჩემი ქვეყნიდან რამოდენიმე ძალიან კარგი მარათონელი გამოვიდა - მათ მთლიანობაში დაახ. 53 ოლიმპიური მედალი მოიპოვეს.

შეიძლება, რომ ეს მათი ჯანსაღი კვების შედეგი იყოს? ყოველ შემთხვევაში, მე გამუდმებით შემიძლია ვჭამო სპაგეტი ხორცის სოუსით და ბოსტნეულით.

სათამაშოდ მეგობრებს ჩემს სახლთან ახლოს ვხვდები. სიამოვნებით ვთამაშობ ფეხბურთს, მაგრამ ასევე კომპიუტერულ თამაშებს. ჩემს საუკეთესო მეგობარ გოგონას ჰქვია მაჰადერი: ის ჭკვიანი და ძალიან თავაზიანია, ძალიან წყნარია, მაგრამ ბევრს იცინის. ჩემსავით ისიც მეექვსე კლასში დადის.

მომწონს მუსიკა, ახალ სიმღერებს ადვილად ვსწავლობ. განსაკუთრებით ჩვენი საეკლესიო საგალობლები მიყვარს. აქ ორ ჩემს მეგობარ გოგონას შორის მხედავთ ეკლესიის გუნდიდან. სიამოვნებით ვისწავლიდი რომელიმე ინსტრუმენტზე დაკვრას, მაგ., ორღანზე.

ჩემი ოჯახი: მამაჩემს გირმა ჰქვია, ის 40 წლის არის. ის ჩვენს თემში მახარებელად და წინამძღვრად მსახურობს. დედაჩემს კიდისტი ჰქვია, ის ვაჭრობაში მუშაობს. იმის გამო, რომ დედისერთა ვარ, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ჩემს მიმართ და ყოველთვის მეხმარებიან, როცა მათი მხარდაჭერა მჭირდება. ბედნიერი ვარ, ასეთი მშობლები რომ მყავს. დაე, აკურთხოს ღმერთმა ისინი და ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე მიანიჭოს მათ.



წყარო: ჟურნალი ბავშვებისათვის, გამოცემა 07/2017 წ.; ფოტოები Fotolia.com: ბერნდ იურგენსი, პირადი ფოტოები

დამსახურებულ პენსიაში

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

სამხ. მოც. რ. შტორკი სამხ. უხუცეს პ. უგრიმოვს მადლობას უხდის და დამსახურებულ პენსიაზე უშვებს

სამხ. უხუცეს პ. უგრიმოვის ბოლო სიტყვა

პეტრე უგრიმოვი 1941 წლის 25 ნოემბერს აზერბაიჯანში, ქალაქ ზაქათალაში, დაიბადა. 1944 წელს უგრიმოვების ოჯახი თბილისში გადმოსახლდა. სკოლა და პოლიტექნიკური ინსტიტუტი პეტრე უგრიმოვმა თბილისში დაამთავრა. ჰყავს მეუღლე ელვირა ლისოტა, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ახალსამოციქულო ეკლესიაში იგი მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად 1997 წლის დასაწყისში მოვიდა. 23 თებერვალს იგი წმიდა წყლით მწყემსამა კლაუს ლანგენდორფმა მონათლა, 11 ნოემბერს კი მოციქულმა გუნთერ ჰომბურგმა სულიწმიდით აღბეჭდა. პეტრე უგრიმოვი იყო ერთ-ერთი იმ პირველ შვიდ დიაკვანთაგინი, რომელიც მოც. გ. ჰომბურგმა ხელდასხმით აკურთხა, იმავე წლის ივლისში კი - მღვდლად. 1999 წელს იგი მახარებელი გახდა. 2000 წლის ოქტომბერში სამხ. მოციქულმა ჰორსტ ელებრახტმა (აწ გარდაცვლილმა) იგი სამხ. მახარებლად აკურთხა. 2004 წლის 28 აგვისტოს კი იმჟამად სამხ. მოციქულმა ვილჰელმ ლებერმა სამხ. უხუცესის წოდება მიანიჭა და, ამდენად მას საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიის ხელმძღვანელობა დაევალა. 2012 წლიდან სამხ. უხუცესს პეტრე უგრიმოვს აზერბაიჯანის თემებზე მზრუნველობაც დაეკისრა. 2017 წლის 13 აგვისტოს სამხ. მოციქულმა რაინერ შტორკმა ის დამსახურებულ პენსიაზე გაუშვა.

ღვთის საქმეში იგი დაუღალავად, ერთგულად და დიდი რწმენით მოღვაწეობდა. დიდი ღვაწლი მიუძღვის მას თბილისში პირველი ეკლესიის მშენებლობაში, რომელიც თავის დროზე დღევანდელი ახალგაზრდული ცენტრის ადგილას მდებარეობდა. იგი მუდამ მზად იყო, დახმარებოდა და-ძმებს სულიერად თუ ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში. ყოველთვის გერმანელი ძმების გვერდით იყო, როცა ისინი საქართველოში ჩამოდიოდნენ. ხელს უწყობდა მათ ჩვენს ქვეყანაში ღვთის სიტყვის გავრცელებასა და ღვთის საქმის აღშენებაში. ეკლესიაში მოღვაწეობის დროს მას მხარში ედგა ყოველთვის მისი მეუღლე ელვირა. აი, რას სწერს მას სამხ. მოციქული რაინერ შტორკი მის პენსიაში გაშვებასთან დაკავშირებით: „ნებისმიერ სასულიერო თანამდებობას და დავალებებს

ქორეთის ეკლესიის წინ

პეტრე უგრიმოვი (შუაში), მაქს ტროტიე (მარჯვ.) და ფრანკ შაუერტე (მარცხ.)

სანიმუშო ერთგულებით, გულწრფელად, სამაგალითო თავდადებითა და რწმენის დიდი ძალით ასრულებდი. შენ ძალიან ახლოს იყავი დამმებთან. გვერდში ედექი მათ, შუამდგომლობდი ლოცვებით, აძლევდი რჩევებს, აძლიერებდი და ანუგეშებდი. [...] ჩემს გულში დიდი მადლიერებაა შენს მიმართ და შენი ძვირფასი მეუღლის, ელვირას, მიმართ. ის ყოველთვის მხარში გედგა. მრავალი წლის განმავლობაში ურიგდებოდა შენს შინ არყოფნას. ასე, რომ თქვენი ერთობლივი ცხოვრებისა და რწმენის გზა ერთობლივი შრომისა და კურთხევის გზა იყო ... დაე, მამაზეციერი მუდამ თქვენთან იყოს“.

გერმანელმა ძმებმა, რომლებიც წლების განმავლობაში საქართველოში ჩამოდიოდნენ და ღვთის სიტყვას ახარებდნენ, სამხ. უხუცეს პეტრე უგრიმოვს პენსიაში გასვლასთან დაკავშირებით საჩუქარი გამოუგზავნეს, ანკესი, სიმბოლოდ იმისა, რომ ამიერიდან მას უფრო მეტი დრო ექნება დასასვენებლად, ასევე მადლიერებით აღსავსე წერილი: „ჩვენ ყველა გულითად მადლობას გიხდით ერთგული მსახურებისათვის საქართველოსა და აზერბაიჯანის თემებში. სანიმუშო ერთგულებითა და გულწრფელობით ატარებდი სახარებას გულით და დამაჯერებლად იუწყებოდი მას. ამით შენ ღვთის საქმესა და საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკლესიებს დიდი სამსახური გაუწიე. არასოდეს გითქვამს უარი საქმის კეთებაზე. შრომობდი თავდაუზოგავად, ნებისმიერ დავალებას პატიოსნად ასრულებდი. ... ახლა კი დროის ის ახალი მონაკვეთი იწყება, როცა უკვე აქტიურად აღარ ჩაატარებ ღვთისმსახურებებს. მაგრამ ჩვენ, ყველა, დარწმუნებულნი ვართ, რომ არც მომავალში დარჩები უმოქმედოდ, ვინაიდან ნებისმიერი სამუშაო ღვთის საქმეში შენთვის გულითადი მოთხოვნილება იყო. ... გვინდა განსაკუთრებულად გისურვოთ შენ და შენს ელვირას ჯანმრთელობა და ყოველივე საუკეთესო რწმენისა და ცხოვრების შემდგომ გზაზე.“

საქართველოსა და აზერბაიჯანის თემებმა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გააცილეს სამხ. უხუცესი პეტრე უგრიმოვი პენსიაზე.

ძველი ეკლესია

სიახლეები საქართველოდან

ცვლილებები საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიაში

საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიას ამა წლის 11-14 აგვისტოს სამხ. მოციქული რაინერ შტორკი ესტუმრა ჩრდ-რაინ ვესტფალიის მოციქულებთან და მათ მეუღლეებთან ერთად. 11 აგვისტოს შუადღისას სამხ. მოციქული რ. შტორკი და მოც. ვ. შუგი მეუღლეებითურთ ბაქოდან თბილისში ჩამოვიდნენ, საღამოს კი გერმანიიდან ჩამოფრინდნენ მოციქულები ჰოიერი, შორი და ოტენი მეუღლეებთან ერთად, ასევე პენსიაში მყოფი სამხ. მოციქული არმინ ბრინკმანი და პენსიაში მყოფი მოციქული გუნთერ ჰომბურგი. სამხ. მოციქულის ღვთისმსახურების მოსამზადებლად რამოდენიმე დღით ადრე მოსკოვიდან ჩამოვიდა მოც. პაველ გამოვი მეუღლესთან ერთად, ხოლო გერმანიიდან სამხ. უხუცესი იურგენ ფოლმანი. სტუმრებს შორის იყვნენ აგრეთვე ეპისკოპოსი რაფაელ მოვსესიანი და სამხ. მახარებელი პილოიანი სომხეთიდან.

აგვისტოს ხვატის მიუხედავად კულტურული პროგრამა საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა: ჩამოსულმა სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ესტუმრნენ ქალაქ მცხეთას და მოინახულეს ჯვრის მონასტერი.

საქ. ახსე-თვის სამხ მოციქულის ამ ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ხელმძღვანელობაში გარკვეული ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო. სამხ. უხუცესი პეტრე უგრიმოვი დამსახურებულ პენსიაში გადიოდა. მან ოც წელზე მეტი იმსახურა საქ. ახსე-ში და დასაწყისიდანვე მონაწილე იყო მისი განვითარებისა და წინსვლისა.

კვირას, 13 აგვისტოს, 12 სთ-ზე, სამახსოვრო და განსაკუთრებული ღვთისმსახურება ჩატარდა. სამხ. მოციქულმა მსახურება ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდან აღებული ციტატით დაიწყო (62, 11): „აჰა, უფალი აუწყებს დედამიწის კიდემდე; უთხარით სიონის ასულს: 'ნახე, მოვიდა შენი ხსნა! ნახე, მისი საზღაური მასთანაა და მისი მისაგებელი მის წინაშეა". მოციქულმა აღნიშნა, რომ უფალი დღეს მის დამსახურებას გვაზიარებს, ხოლო, როცა მეორედ მოვა, მის დიდებას გაგვიზიარებს. მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ მოცემულ კონტექსტში უფალი წინასწარმეტყველის პირით იერუსალიმის მკვიდრთ დამპყრობელთა უღლისგან განთავისუფლებას, ბაბილონიდან უკან დაბრუნებას და ქალაქის ბრწყინვალების აღდგენას აღუთქვამს. ამ აღთქმაში იესო ქრისტეს ხსნის საქმეები უნდა დავინახოთ. იერუსალიმი,

ფოტო: საქართველოს ახ. ს. ე.

სამხ. მოც. რ. შტორკი ატარებს ზიარებას განსვენებულთათვის უკანა პლანზე სამხ. ნმოციქული არმინ ბრინკმანი პენსიაში და მოციქული გუნთერ ჰომბურგი პენსიაში

ცოცხალი ღმერთის ქალაქი, იესო ქრისტეს ეკლესიას განასახიერებს. უფალს სურს, რომ ამ ქალაქის მაცხოვრებლები ბოროტისგან იხსნას და მოიყვანოს ის სულები, რომლებიც ჯერ კიდევ შორს არიან ღვთისგან. როცა ეკლესია სრულყოფილ სახეს მიიღებს, ქრისტეს მორწმუნენი და მიმდევარნი მისი დიდების თანაზიარნი გახდებიან.

ღვთისმსახურებას საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიის ყველა თემის წარმომადგენელი დაესწრო; ავლაბრის თემის გარდა ღვთისმსახურებაში მონაწილეობა მიიღეს კახეთის, ბათუმისა და ფოთის თემებმა (სულ 135 დამსწრე, მათ შორის 5 სტუმარი).

ამ ღვთისმსახურებაზე სამხ. უხუცესი პეტრე უგრიმოვი დამსახურებულ პენსიაზე იქნა გაშვებული, მისი მოვალეობანი დაეკისრა სამხ. უხუცეს იურგენ ფოლმანს, რომელიც სამხ. მოციქულ რ. შტორკისა და მოც. ვ. შუგის დავალებით ამიერიდან საქართველოს ახსე-ს უხელმძღვანელებს. ასევე მღვდელი მიხეილ ხიზანიშვილი სამხ. მახარებლად იქნა ორდინირებული.

როგორც აღვნიშნეთ, ამ საზეიმო ღვთისმსახურებას პენსიაში მყოფი სამხ. მოციქული არმინ ბრინკმანი და მოციქული გუნთერ ჰომბურგიც ესწრებოდნენ. მათ საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს ახალსამოციქულო ეკლესიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მოციქული გ. ჰომბურგი იყო ის, ვინც პირველი თემები დაარსა საქართველოში და პირველი მღვდელმსახურები აირჩია. მას შეიძლება საქართველოს ახსე-ს „მამამთავრიც“ კი ვუწოდოთ.

ღვთისმსახურების შემდეგ სამხ. უხუცეს პეტრე უგრიმოვს საზეიმო გაცილება მოუწყვეს, სადაც აღნიშნული იქნა მისი დამსახურებანი და საჩუქრად ანკესი გადასცეს, სიმბოლოდ იმისა, რომ მას აწი უფრო მეტი თავისუფალი დრო ექნება.

ორშაბათს, 14 აგვისტოს, სტუმრებმა მცხეთა და ჯვრის მონასტერი მოინახულეს. მოც. ვ. შუგმა მათ საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ უამბო.

სამშაბათს, 15 აგვისტოს, სტუმრებმა საქართველო დატოვეს. სამხ. უხუცესი იურგენ ფოლმანი კიდევ რამოდენიმე დღით დარჩა და თავისი ახალი მოვალეობების შესრულებას შეუდგა.

მღვდელ მიშა ხიზანიშვილს სამხ. მოც. რ. შტორკი სამხ მახარელის თანმდებობის მინიჭებას ულოცავს

სამების ტაძრის წინ

იურგენ ფოლმანს საქართველოს თემებზე მზრუნველობა ევალება

პროგრამა

01. 10. 2017 წ. პორტ-მორზბი (პაპუა-ახალი გვინეა)
15. 10. 2017 წ. კეიპტაუნი (სამხრ. აფრიკა)
17. 10. 2017 წ. ჯორჯი (სამხრ. აფრიკა)
22. 10. 2017 წ. ნიურნბერგი (გერმანია)
29. 10. 2017 წ. დუბლინი (ირლანდია)
05. 11. 2017 წ. ლანდაუ (გერმანია)
12. 11. 2017 წ. რაიპური (ინდოეთი)
19. 11. 2017 წ. ბაკნანგი (გერმანია)
26. 11. 2017 წ. ესენი (გერმანია)
03. 12. 2017 წ. ლიუბეკი (გერმანია)
08. 12. 2017 წ. კინშასა (კონგოს დრ.)
09. 12. 2017 წ. გემენა (კონგოს დრ.)
10. 12. 2017 წ. კინშასა (კონგოს დრ.)
17. 12. 2017 წ. ლეუვარდენი (ნიდერლანდები)

New Apostolic Church
International